

2. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საერთო პოლიტიკური სიტუაციების პირობებში რესპუბლიკაში მკვეთრად გართულდა კრიმინოგენური ვითარება... არის აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოდ ცნობილი ეროვნული გვარდიის ფორმირებათა მებრძოლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ფაქტები.

განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის წადენის, მოქალაქეთა, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა, სამხედრო მოსამსახურეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის დროს, რაც ლახავს ძალაუფლების არსებული კონსტიტუციური სტრუქტურების ავტორიტეტს, წარმოშობს დაურწმუნებლობას მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტირებაში.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დადგინდეს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება აქვთ მხოლოდ აფხაზეთის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებს და სამხედრო ფორმირებათა მოსამსახურეებს, რომლებიც შედიან აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს იურისდიქციაში და ამაზე მიღებული აქვთ ნებართვა აფხაზეთის ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოებისაგან.

ყველა სხვა ნორმატული აქტი, მის შესაბამისად გაცემული მოწმობა და ნებართვა, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე იარაღის შენახვისა და ტარების უფლებას აძლევს, წარმოადგენს უკანონოს, არ გააჩნია იურიდიული ძალა, არ შეიძლება ცნობილ იქნეს იარაღის ტარების სამართლებრივ საფუძვლად და უნდა გაუქმდეს.

2. აფხაზეთის ასსრ სამართალდაცვითმა ორგანოებმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო, რესპუბლიკის პროკურატურა, რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახური, შინაგან საქმეთა საჯარისო ფორმირებანი, რომლებიც აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან) დაუყოვნებლივ გაშალონ ერთობლივი მუშაობა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასა და პირებისაგან უკანონოდ შენახული იარაღის გამოსართმევად.

(...)

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა.

1992 წლის 20 იანვარი.

(გაზეთი "აფხაზეთის ხმა", # 15, 1992 წლის 4 თებერვალი)